ოქმი №6

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 28 თებერვალი

ოქმი №6

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 28 თებერვალი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მ. კვიტაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: გ. ხოშტარია, გ. კუპრავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია, გ. კუცია.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აპარატის უფროსი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აბაშის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ".

მომხს: გ. კუცია

2. „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ".

მომხს: გ. კუცია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. მ. კვიტაშვილი

1

მოისმინეს:

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აბაშის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ".

მომხს: გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ ბიუროს წევრებს გააცნო „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აბაშის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ" განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მ. კვიტაშვილმა, გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აბაშის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ" განსახილველად გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი შ. დარცმელიძე.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

„საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ".

მომხს: გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ ბიუროს წევრებს გააცნო „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მ. კვიტაშვილმა, გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ" განსახილველად გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი შ. დარცმელიძე.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

3

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. მ. კვიტაშვილი

მომხსენებელმა მ. კვიტაშვილმა წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნეს 2019 წლის 1 მარტს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აბაშის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ".

მომხს: შ. დარცმელიძე

2. „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ".

მომხს: შ. დარცმელიძე

საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ბიუროს ყველა წევრმა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი